ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის სხდომის
ოქმიN6

დაბა ქედა **31 აგვისტო, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

31.08.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
3	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	
5	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა რომ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 აგვისტოს №28 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2020 წლის 31 აგვისტო დღის 18 საათამდე.

დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით 2020 წლის 10 აგვისტოს საკრებულოს აპარატში შემოვიდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკონსულტაციო დასკვანა №GOV 9 20 00032466 (შემოსული დოკუმენტი №71/04; 10.08.2020 წელი) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტთან დაკავშირებით, რომლითაც არსებითი სახის სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან სხვა სამართლებრივი შენიშვნები არ შემოსულა, მიზანშეწონილია საკითხი დასამტკიცებლად გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ტექნიკური ხასიათის სენიშვნების გატვალისწინებით - დანართი N1-ის სახით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0
კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე